



2018 წლის 26-27 ივნისს გაიმართება თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის
ყოველწლიური XI სამეცნიერო კონფერენცია

კონფერენციის პრიორიტეტული თემაა
ერთვნილი იდენტობის იდეა ხელოვნებაში

კონფერენცია ეძღვნება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადების 100 წლისთავს. კონფერენციაში მონაწილეობა შეუძლიათ პროფესორებს, მკვლევარებს, დოქტორანტებს, რომელთა სამეცნიერო ინტერესები ემთხვევა ჩვენი კონფერენციის თემატიკასა და მიმართულებებს.

კონფერენციაზე იმუშავენ თავისუფალი სექციებიც, რომელთა თემატიკა არ შემოიფარგლება აღნიშნული თემატიკით და დარგებით. თავისუფალი სექციები იქნება კულტურული ტურიზმისა და ხელოვნების მენეჯმენტის მიმართულებით, ასევე ხელოვნებისა და მედიის სფეროს იმ მოხსენებებისთვის, რომლებიც არ ჯდება პრიორიტეტულ თემატიკაში. კონფერენციის სამეცნიერო საბჭოს მიერ შერჩეული თემატური კონფერენციის მასალები გამოქვეყნდება IX ტომში კრებულისა „XX საუკუნის ხელოვნება“, ხოლო არათემატური სექციების შერჩეული მასალები - კრებულში „სახელოვნებო მეცნიერებათა ძიებანი“.

ქართული და ინგლისური თეზისების წარმოდგენის ბოლო ვადაა **20 აპრილი**, ხოლო სრული მოხსენებებისა - **20 მაისი**.

მოთხოვნები და პარამეტრები:

თეზისები და მოხსენებები უნდა გადმოივ ზავნოს ქვემოთ მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე.

თეზისები ქართულად არ უნდა აღემატებოდეს 1 გვერდს.

თეზისები ინგლისურად უნდა შეადგენდეს არანაკლებ 1 გვერდისა.

*ქართული შრიფტი აკად. ნუსხური, ინგლისურისთვის Times New Rom
ზომა 12, დაშორება 1,15.*

მოხსენება არ უნდა აჭარბებდეს 6 გვ-ს.

კონფერენციის ორგანიზატორია

ჰუმანიტარულ, სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტი,

პროფესორი ნატო გენგიური

ტ. 577 94 70 03; 593 24 42 78.

natogengiuri@gmail.com; ngengiuri@tafu.edu.ge